როჯერ ზელაზნი

ობერონის ხელი

ამბერის ქრონიკები

წიგნი 4

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2012

“Hand of Oberon” Roger Zelazny
„ობერონის ხელი“ როჯერ ზელაზნი

მთარგმნელი: დავით ახალაძე
რედაქტორი: ანდრო ბუაჩიძე
დაკაბადონება: ქეთევან ღონღაძე
გარეკანი: თამარ მეტრეველი, თამარ ბასილია

copyright © 1976 by Roger Zelazny

Published by agreement with the author and the author’s agents,
Ralph M. Vicinanza, Ltd.

საავტორო უფლება თარგმანზე
© 2012 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-086-6

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

თავი პირველი

უეცრად გონება ამ უჩვეულოდ კაშკაშა მზის საკადრისმა შუქმა გამინათა.

აი, ისიც... იქ, მზის გულზე გადაიშალა ორნამენტი, რომელიც მანამდე მხოლოდ წყვდიადში მოციალე მენახა. ეს ორნამენტი ლაბირინთი იყო — ცისფერი ზღვის თავზე, ზღვისდარი ცის ქვეშ კლდეზე ჩუქურთმად ამოქარგული.

ჩვენ შორის საოცარი ურთიერთკავშირი არსებობდა და ალბათ ამ სიახლოვემ მიმახვედრა, რომ ის ნამდვილი იყო... დიდი ლაბირინთი კი სხვა არაფერი, თუ არა მისი აჩრდილი.

ეს იმას ნიშნავდა, რომ, პირველშობილობის კანონის თანახმად, ნამდვილი ამბერიც სწორედ ეს ადგილი უნდა ყოფილიყო, რადგან რეალური სამყარო ამბერის, რებმასა და ტირ-ნა ნოგ'თის სამეფოს მიღმა ვერ აირეკლებოდა.

მოღიმარ განელონს მივუბრუნდი. თაკარა მზის ქვეშ გაბურძგნილი წვერი დამდნარი ცვილივით უპრიალებდა.

— როგორ მიხვდი? — ვკითხე გაოცებულმა.

— ხომ იცი, ჭკვიანი კაცი ვარ, კორვინ, — ჩაიცინა ჩუმად, — უბრალოდ, გამახსენდა, რაც ოდესმე ამბერზე გიამბია: როგორ ზემოქმედებს სხვადასხვა სამყაროზე მისი ანა-

რეკლები და თქვენი ესა თუ ის საქციელი. ბოლო დროს თავიდან არ ამომდიოდა შავი გზა. ხშირად მიფიქრია, თავად ამბერიც რაღაცის ანარეკლი ხომ არაა-მეთქი? ჩემი წარმოდგენით, ეს რაღაც პირველქმნილი, მძლავრი და იდუმალებით მოსილი უნდა ყოფილიყო, — მან ჩვენ წინ გადაშლილ ხედზე მიგვანიშნა, — აი, ასეთი.

— განაგრძე, — ჩავილაპარაკე ჩაფიქრებულმა.

სახის გამომეტყველება შეეცვალა. მხრები აიჩეჩა და მომიგო:

— მოკლედ, ვგრძნობდი, რომ სადღაც უნდა ყოფილიყო რეალობის ამბერზე უფრო ღრმა შრე, სადაც, სავარაუდოდ, მთელი ბინძური სამუშაო სრულდებოდა. თქვენმა მფარველმა მხეცმაც სწორედ შესაფერის ადგილას მოგვიყვანა: ლაბირინთზე დაჩნეული ლაქაც ხომ იმას მიგვანიშნებს, რომ ეს შავი საქმე აქ გაკეთდა? არ მეთანხმები?

თავი დავუქნიე.

— ამ დასკვნაზე მეტად მე შენმა საზრიანობამ გამაოცა, — ვუთხარი გულახდილად.

— გამჭრიახობაში მეც მაჯობე, — აღიარა ჩემ ხელმარჯვნივ მდგომმა რენდომმა, — ისეთი განცდა გამიჩნდა, რომ მართალი ხარ. ეს შეგრძნება ძვალ-რბილში მაქვს გამჯდარი. რატომღაც მჯერა, რომ ჩვენი სამყაროს საძირკველი სადღაც ქვემოთაა.

— ზოგჯერ ვითარებას დამკვირვებელი უკეთ აფასებს, ვიდრე საქმის უშუალო მონაწილე, — თქვა განელონმა.

რენდომმა შემომხედა და დაბლა გადაშლილ ხედზე მიმანიშნა.

— როგორ გგონია, კვლავ შეიცვლება სამყარო, თუკი დაღმა დავეშვებით და ყველაფერს ახლოდან დავათვალიერებთ? — მკითხა მან.

— ამის გასარკვევად ერთადერთი გზა არსებობს, — მივუგე.

— ჩავმწკრივდეთ და დავეშვათ, — გაუხარდა რენდომს, — წინ მე წავალ.

— კარგი, — დავეთანხმე.

რენდომმა ცხენი ჯერ მარჯვნივ მიმართა, მერე — მარცხნივ, მერე ისევ მარჯვნივ... ფერდობის დიდი ნაწილი მიხვეულ-მოხვეული ბილიკით ჩავიარეთ. რენდომს უწინდებურად მე მივყვებოდი, განელონი კვლავ ბოლოში მოდიოდა.

— მგონი არაფერი შეცვლილა, — გამომძახა რენდომმა.

— ჯერჯერობით, არა. — მივუგე მე.

— ქვემოთ კლდეში ნაპრალს ვხედავ.

წინ გადავიხარე და ხელმარჯვნივ, ტაფობის კიდეზე მღვიმის შესასვლელი დავინახე. გამოქვაბული მოფარებულ ადგილას იყო და ზემოდან არ ჩანდა.

— მის გვერდით მოგვიწევს ჩავლა, — ჩავილაპარაკე.

— სწრაფად და ჩუმად ვიაროთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. — თქვა რენდომმა და ქარქაშიდან ხმალი ამოაცურა.

გრეისვანდირი გავაშიშვლე. ცოტა ხანში კი ზურგს უკან განელონის იარაღმაც გაიწკრიალა.

ნაპრალის გვერდით არ ჩაგვივლია — სანამ მივუახლოვდებოდით, ბილიკმა კვლავ მარცხნივ მოუხვია, თუმცა გამოქვაბულს მხოლოდ ათი-თხუმეტი ფუტი თუ გვა-

შორებდა და ჩემამდე უმალ მოაღწია უცხო და უსიამოვნო სუნმა. ცხენები კი, რომლებსაც ყნოსვა ჩვენზე უკეთესი ჰქონდათ და ბუნებითაც უფრო უიმედონი იყვნენ, სადავეებს აღარ ემორჩილებოდნენ და შეშფოთებულები გამალებით ფრუტუნებდნენ. თუმცა, მალევე დამშვიდდნენ, როცა მომდევნო მოსახვევს გავცდით და ნაპრალს ნელ-ნელა მოვშორდით. სანამ დაღმართს ჩავივლიდით, აღარ გაგვჯიუტებიან, მაგრამ როგორც კი დანგრეულ ლაბირინთთან მიახლოება დავიწყეთ, გაშეშდნენ და ადგილიდან ფეხი ვერ მოვაცვლევინეთ.

რენდომი ჩამოქვეითდა, ორნამენტს მიუახლოვდა, შეჩერდა და ყურადღებით დააცქერდა, მერე არც შემოტრიალებულა, ისე ჩაილაპარაკა:

— რაც ვიცით, იმას თუ გავითვალისწინებთ, განზრახაა დაზიანებული.

— როგორც ჩანს, ასეა, — დავეთანხმე.

— ცხადია ისიც, რომ აქ ტყუილად არ მოვუყვანივართ.

— გეთანხმები.

— ერთი სიტყვით, დიდი წარმოსახვის უნარი არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ აქ ლაბირინთის აღსადგენად და მისი დაზიანების მიზეზთა დასადგენად ვართ მოსული.

— შესაძლოა. მერე რა დიაგნოზს დასვამ?

— ჯერჯერობით ვერანაირს.

ის ფიგურის პერიმეტრს ხელმარჯვნივ გაუყვა — შავი ლაქისკენ გაემართა. ხმალი ქარქაშში ჩავაგე და ჩამოქვეითება დავაპირე. განელონმა მხარზე ხელი დამადო.

მაცადე, ჩემითაც მოვახერხებ-მეთქი, გადავულაპარაკე.

— კორვინ, — მითხრა, თითქოს ჩემი სიტყვები არც გაუგონიაო, — ლაბირინთის შუაგულში პატარა უსწორმასწორობას ვხედავ. არ მგონია, თავიდანვე ასე ყოფილიყოს ჩაფიქრებული.

— აბა, სად?

თითით მიმანიშნა.

მის ხელს თვალი გავაყოლე და ლაბირინთის ცენტრის სიახლოვეს უცხო საგანი შევნიშნე. წესიერად არ ჩანდა — ჯოხი იყო, ქვა, თუ ქარის მოტანილი ქაღალდის ნაგლეჯი.

— ვხედავ — ვუთხარი განელონს.

ცხენებიდან ჩამოვხტით და რენდომისკენ გავემართეთ. იგი ორნამენტის უკიდურეს, მარჯვენა კიდესთან მიწაზე გართხმულიყო და გაფერმკრთალებულ ადგილს აკვირდებოდა.

— განელონმა ცენტრთან რაღაც დაინახა, — ვუთხარი რენდომს.

მან თავი დამიქნია:

— მეც შევნიშნე. ახლა სწორედ იმას ვფიქრობდი, საიდან მივუდგე, უკეთ რომ შევათვალიერო-მეთქი. მაინცდამაინც არ მინდა ამ დანგრეულ ლაბირინთში შესვლა. თან ვინ იცის, რა მოხდება, როცა დალაქავებულ მონაკვეთს გადავკვეთ. შენ რას იტყვი?

— თუკი წინააღმდეგობა აქ ისეთივეა, როგორიც ჩვენს ლაბირინთში, სადაც ბილიკი მოჩანს, იმ მონაკვეთის გავლას დრო დასჭირდება. თან, ხომ გვასწავლეს, გეზიდან გადახვევა სიკვდილის ტოლფასიაო. ლაქაზე ფეხის დადგმით კი გზიდან გადასვლა მომიწევს. მერე, შენი თქმისა არ იყოს, შავ ლაქაზე გავლამ შეიძლება ჩვენი მტრები გამოაღვიძოს. ასე რომ...

— ასე რომ, ამის გაკეთება არ შეგიძლიათ, — შემაწყვეტინა განელონმა, — სამაგიეროდ, მე შემიძლია...

ესა თქვა და, სანამ ვუპასუხებდი, შავ ზოლზე გადახტა, ზედ გაირბინა, ლაბირინთის ცენტრში დაგდებული საგანი აიღო და უკან გამობრუნდა.

რამდენიმე წამის შემდეგ უკვე ჩვენ გვერდით იდგა.

— ძალიან წინდაუხედავი საქციელი იყო, — ჩაიბურტყუნა რენდომმა.

განელონმა თავი დაუქნია:

— კი, მაგრამ ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ახლაც შუაგულ სჯა-ბაასში იქნებოდით, — მან რაღაც ნივთი გამოგვიწოდა, — აბა, ამაზე რას მეტყვით?

ხელში ხანჯალი ეჭირა. ხანჯალზე დასვრილი მუყაოს ნაჭერი იყო წამოცმული.

— ბანქოს ქაღალდს ჰგავს, — თქვა რენდომმა.

— კი, — კარტს ხანჯალი გამოვაძრე და დახეული კიდეები გავუსწორე.

ქაღალდზე კაცი ეხატა. თან მეცნობოდა, თანაც სრულიად უცხო იყო ჩემთვის. ღია ფერის სწორი თმა, ცოტა უხეში ნაკვთები, ოდნავ მღიმარი სახე და სუსტი აღნაგობა ჰქონდა.

თავი გავიქნიე:

— არ ვიცი, ვინაა.

— შემახედე, — რენდომმა კარტი გამომართვა და წარბები შეჭმუხნა.

— არა, — ჩაილაპარაკა ცოტა ხნის შემდეგ, — მეც ვერ ვცნობ. თითქოს უნდა ვიცნობდე, მაგრამ... არა.

უეცრად ცხენები კვლავ აფორიაქდნენ და უწინდელზე მეტად აფრუტუნდნენ. მივტრიალდით და დავინახეთ, რამაც შეაშინა — გამოქვაბულიდან რაღაც გამომძვრალიყო.

— დალახვროს ეშმაკმა, — ჩაიღრინა რენდომმა.

განელონმა ჩაახველა და ხმალი იშიშვლა.

— ვინმემ თუ იცით, ეს რა ჯანდაბაა?

თავიდან ურჩხული გველის მსგავსი მომეჩვენა, რადგან გველივით იკლაკნებოდა და თანაც მისი სქელი კუდი სხეულის გაგრძელებას უფრო ჰგავდა, ვიდრე — დანამატს.

თუმცა მერე კი შევნიშნე, რომ ოთხი ორსახსრიანი თათი, თათებზე კი — ვეებერთელა, საშინელი კლანჭები ჰქონდა. მისი ნისკარტიანი წვრილი თავი აქეთ-იქით ქანაობდა და სანამ გვიახლოვდებოდა, რიგრიგობით გვიჩვენებდა ხან ერთ და ხანაც მეორე ღია ცისფერ თვალს. გვერდებზე მეწამული ფერის ტყავის ფრთები მიეკეცა. არც ბეწვი ჰქონდა და არც ბუმბული. მკერდზე, მხრებზე, ზურგსა და მთელ კუდზე ფარფლი უბრწყინავდა. ხიშტივით ნისკარტიდან კუდის ბოლომდე სამ მეტრზე მეტი სიგრძისა არ უნდა ყოფილიყო. მოძრაობისას წკრიალის ხმას გამოსცემდა და კისერზე რაღაც უბრწყინავდა.

— თუ არ ვცდები, ყველაზე მეტად ჰერალდიკურ გრიფონს ჰგავს, — შენიშნა რენდომმა, — ოღონდ ეს უბეწვოა და მეწამული.

— ჩვენს ეროვნულ ფრინველს აშკარად არ ჰგავს, — დავძინე ჩუმად, გრეისვანდირი გავაშიშვლე და ურჩხულის თავისკენ მივმართე.

ურჩხულმა წითელი, ორად გაყოფილი ენა გამოყო, ფრთები რამდენიმე დუიმით მაღლა ასწია და სწრაფად

დაუშვა. თავის მარჯვნივ გადახრისას კუდს მარცხნივ იქნევდა და — პირიქით. ჩვენკენ ფერდობზე დაღვრილი წყალივით მოემართებოდა და მომნუსხველი სანახავი იყო.

თუმცა ეტყობოდა, ჩვენზე მეტად ცხენებით დაინტერესდა, რადგან გეზი აშკარად მათკენ აიღო. წინ წავიწიე და გზა გადავუღობე. ურჩხული უმალ ყალყზე შედგა.

ფრთები ზეაღმართა და ქარით დაბერილი იალქნებივით გაშალა. უკანა ფეხებზე იდგა და უწინდელზე ოთხჯერ მეტ სივრცეს იკავებდა. ურჩხულმა ისეთი გამყინავი ხმით შეჰყივლა, რომ ყურებში კარგა ხანს მიწუოდა. მერე ფრთები სწრაფად დაიქნია, შეხტა და წამით ჰაერში შეითამაშა.

ცხენები ადგილს მოსწყდნენ და გაიქცნენ. გველეშაპისგან კვლავ შორს ვიყავით. მხოლოდ მაშინ მივხვდი რა უელავდა მას კისერზე და რატომ მესმოდა წკრიალის ხმა. გამოქვაბულიდან გამომავალი ჯაჭვი ურჩხულს კისერზე ჰქონდა მობმული. ძალიან მინდოდა, გამეგო ჯაჭვის სიგრძე და ეს სურვილი უბრალო ცნობისმოყვარეობის ბრალი არ იყო.

ურჩხულმა სისინით და ფრთების ფართქუნით ჩამიფრინა, თან გამუდმებით მიწას ეხეთქებოდა. საკმარისი ინერცია არ ჰქონდა, რომ ასეთი მოკლე გამორბენით აფრენილიყო. დავინახე, როგორ დაიხიეს ჩემმა და განელონის ცხენებმა ოვალის შორეული კიდისკენ. რენდომის ბედაური იაგო კი საპირისპირო მხარეს — ლაბირინთისკენ გაქანდა.

ურჩხული კიდევ ერთხელ შეეხო მიწას და შეტრიალდა, თითქოს რენდომის ცხენს უპირებდა დადევნებას, მერე კი ისევ ჩვენ დაგვიწყო ცქერა და გაშეშდა. ამჯერად ბევრად უფრო ახლოს იყო ჩვენთან, ერთმანეთს სულ რაღაც